კონსერვატიული ღირებულებები და დამოკიდებულება განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მიმართ ქვემო ქართლის მოსახლეობაში

2021

დოკუმენტი მომზადებულია ლიბერალური აკადემია თბილისისა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე, ნიდერლანდების სამეფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში. დოკუმენტში მოყვანილ ინფორმაციასა და მოსაზრებებზე პასუხისმგებელია ლიბერალური აკადემია თბილისი, და ის შეიძლება არ ასახავდეს დონორის პოზიციას.

2020 წლის შემოდგომაზე, ყარაბაღის მეორე ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე, ორგანიზაციამ „ლიბერალური აკადემია თბილისი“ (LAT) დაიწყო ქვემო ქართლის ეთნიკურად ქართველ და ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში იდენტობის, კონსერვატიული ღირებულებებისა და პოლიტიკური შეხედულებების შესწავლა კომპლექსური კვლევის მეშვეობით, რომელიც შეიცავს როგორც როდენობრივ კომპონენტს, ასევე თვისებრივ ნაწილსაც. პირველი კომპონენტი განახორციელდა ორგანიზაცია „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC Georgia) პარტნიორობით. მომდევნო მოვლენებმა, განსაკუთრებით ყარაბაღის ომმა და ქვემო ქართლში[1] აქა-იქ კონსფრონტაციული კერების წარმოქმნამ, რაც 2021 წლის მაისში დმანისის მოვლენებით დაგვირგვინდა,[2] დაადასტურა ამ კვლევის აქტუალურობა და დროულობა. კვლევამ გამოკვეთა სხვადასხვა მოვლენებს, პროცესებსა და ფაქტორებს შორის კავშირები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საზოგადოებისთვის აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი, ასევე ის ფაქტორები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროცესების დინამიკაზე და მომავალში მათი მიმდინარეობის პროგნოზირებაში დაგვეხმარება.

ქვემო ქართლი აღნიშნული საკითხების შესასწავლად იმიტომ შეირჩა, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი რეგიონია ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით ქვემო ქართლში 423 986 ადამიანი ცხოვრობს.[3] მათი 51,3% ქართველია, 41,8% კი აზერბაიჯანელი.[4] შესაბამისად, მართლმადიდებელი ქრისტიანების ხვედრითი წილი 51,3%-ია, მუსლიმებისა კი 43,0%.[5] ამის გამო ეს რეგიონი ეთნიკურ ჯგუფებს შორის დამოკიდებულებების, პოლიტიკური შეხედულებების და საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მნიშვნელობის შესწავლის საშუალებას იძლევა.

---

[1] ქვემოთ მოხსენიებულია როგორც „ქვემო ქართლის რეგიონი“ ან უბრალოდ „რეგიონი“.

[2] 2021 წლის 16-17 მაისს, დმანისის ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიაში დაწყებული დაპირისპირება მასობრივ არეულობაში გადაიზარდა. გამომდინარე იქიდან, რომ დაპირისპირებული მხარეები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ, ამას ეთნიკური კონფრონტაციის შეფერილობა მიეცა და დიდი მღელვარება გამოიწვია ორივე - ქართულ და აზერბაიჯანულ ეთნიკურ თემებში. ამ მოვლენებზე უფრო დაწვრილებით ქვევით იქნება საუბარი. იხ. ასევე https://civil.ge/ka/archives/420142.

[3] საქსტატი, *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები* (2020).

[4] აქ და ქვემოთ „აზერბაიჯანელში“ და „ქართველში“, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, იგულისმება, შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელი და ეთნიკურად ქართველი ადამიანი.

[5] რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, მოსახლეობის განაწილება მხარეებისა და რელიგიური კუთვნილების მიხედვით, 2021. იხ. აქ: https://religion.gov.ge/statmaps/#

მეთოდოლოგია

კვლევის მონაცემები შეგროვდა და გაანალიზდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვა ჩატარდა ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე ქვემო ქართლში 972 ადამიანთან 2020 წლის 8-28 ოქტომბერს. აქედან 542 ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ხოლო 430 ქართველი იყო. მონაცემები ზოგადად ქვემო ქართლის და ასევე ქვემო ქართლში მცხოვრები ზრდასრული აზერბაიჯანელი და ქართველი მოსახლეობის წარმომადგენლობითია.

მიღებული შედეგების საფუძველზე ჩატარდა მონაცემთა სტატისტიკური და ანალიტიკური დამუშავება. რაოდენობრივი მონაცემების პარალელურად, შედგა ფოკუს-ჯგუფების სესიები და ჩაღრმავებული ინტერვიუები ადგილობრივ აქტივისტებთან და საზოგადოების განწყობაზე გავლენის მქონე სხვა პირებთან. სულ ჩატარდა 14 ფოკუს-ჯგუფის სესია ქვემო ქართლის მოსახლეობასთან, მათ შორის 8 ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან, 6 კი ქართველებთან. სესიები ჩატარდა მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისსა და დმანისში. თითოეულ მათგანში 8-იდან 10-ამდე ინდივიდი მონაწილეობდა. გარდა ამისა, ჩატარდა 17 ინტერვიუ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ჟურნალისტებთან.

კონსერვატიული ღირებულებები

ღირებულებების შესწავლისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ხშირად ადამიანებს უჭირთ ექსპლიციტური სახით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება, თუმცა სხვადასხვა ღირებულებებთან დაკავშირებულ სიტუაციურ კითხვებზე დაყრდნობით შესაძლებელია ადამიანის დამოკიდებულებების უკეთ გაგება. კონსერვატიული ღირებულებების მოსახლეობაში გავრცელების გაზომვის მიზნით გამოკითხვის ფარგლებში, ქვემო ქართლის მოსახლეობამ უპასუხა კითხვებს აღზრდასა და მშობლის და შვილის ურთიერთობასთან დაკავშირებით. აღზრდის კონტექსტში კითხვების დასმა ადამიანის ღირებულებების შესწავლის ერთ-ერთი ოპტიმალური საშუალებაა, რადგან სწორედ აღზრდის პროცესში ხდება ღირებულებათა სისტემის გადაცემა ყველაზე მეტად გაცნობიერებულად და მიზანმიმართულად[6]. კვლევის დროს აღზრდასთან დაკავშირებული კითხვები ეხებოდა, როგორც შვილებს შორის ქონების განაწილებას, ასევე შვილის

[6] Tam, Kim-Pong, Sau-Lai Lee, Young-Hoon Kim, Yanmei Li, and Melody Manchi Chao. *Intersubjective Model of Value Transmission*. Personality and Social Psychology Bulletin 38, no. 8 (2012): 1041–52. https://doi.org/10.1177/0146167212443896.

გადაწყვეტილებებში მშობლის მონაწილეობას და საკუთარი ხალხის ნაკლის აღქმასთან დაკავშირებით პოზიციას.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი და ქართველი მოსახლეობის შეხედულებები მრავალ საკითხთან მიმართებაში განსხვავდება, ამ ორ ჯგუფს შორის ყველაზე მეტ და თანამიმდევრულ განსხვავებებს ღირებულებების თვალსაზრისით ვხვდებით. მაგალითად, როდესაც შვილებს შორის ქონების განაწილებაზეა საუბარი, გამოკითხული ქართველების 75% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქონება თანაბრად უნდა განაწილდეს ვაჟსა და გოგონას შორის, მაშინ როცა აზერბაიჯანელების მხოლოდ 48% იზიარებს იგივე მოსაზრებას. ზუსტად იგივე რაოდენობა, 48% კი ფიქრობს, რომ ქონების დიდი ნაწილი ვაჟს უნდა დარჩეს. ასე მიიჩნევს ქართველების მხოლოდ 25%. აზერბაიჯანელი მოსახლეობის მოსაზრებები ამ საკითხზე კონსერვატიულ ღირებულებებთან არის თანხმობაში, ვინაიდან ტრადიციულად ქონება, ძირითადად, ვაჟს რჩებოდა. ამას მოწმობს ოფიციალური სტატისტიკა, რომლის თანახმადაც საქართველოში უძრავი ქონების მესაკუთრეთა უმეტესი ნაწილი კაცია.[7] ეს შეხედულება შეუთავსებელია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, რომლის თანახმადაც ბიჭსაც და გოგოსაც თანაბარი უფლება აქვს მემკვიდრეობაზე.

კონსერვატიულ ღირებულებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი „ავტორიტეტის“ მიმართ პატივისცემა და გადაწყვეტილებების მიღებისას მისი როლია. გამოკითხვაში დასმულმა კითხვებმა ცხადყო, რომ გამოკითხული აზერბაიჯანელების მოსაზრებები აქაც კონსერვატიული დამოკიდებულებისკენ იხრება. მართალია, როგორც ქართველების (81%), ასევე აზერბაიჯანელების (56%) უმეტესი ნაწილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ პროფესიის არჩევისას გადამწყვეტი სიტყვა შვილს ეკუთვნის, თუნდაც მშობელი თვლიდეს, რომ ის შეცდომას უშვებს, მაგრამ აზერბაიჯანელები ქართველებთან შედარებით (17%), უფრო ხშირად (40%) ამბობენ, რომ პროფესიის არჩევისას გადამწყვეტი სიტყვა მშობელს ეკუთვნის, რადგან მან უკეთ იცის, თუ რა გამოადგება მის შვილს ცხოვრებაში.

იგივე ტენდენციაზე მიანიშნებს ასევე კითხვა განსხვავებული რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ მიმღებლობაზე. აზერბაიჯანელების 61% და ქართველების 48% ამბობს, რომ არ უნდათ, მათი შვილი განსხვავებული რელიგიის ადამიანზე დაქორწინდეს, თუნდაც ის კარგი ადამიანი იყოს. აზერბაიჯანელების მხოლოდ 33% და ქართველების 49% ეთანხმება მოსაზრებას, რომ მისთვის არ ექნება

[7] საქსტატი,*პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე* (2018) 54.

მნიშვნელობა თუ მისი შვილი განსხვავებული რელიგიის, მაგრამ კარგ ადამიანზე დაქორწინდება. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ როგორც ქართველი, ასევე აზერბაიჯანელი ქალები უფრო კონსერვატიულები არიან, თუმცა ეს გენდერული განსხვავება აზერბაიჯანელებში უფრო დიდია. ამასთანავე, ქართველების შემთხვევაში ახალგაზრდები, 55 წლის ან უფროს ადამიანებთან შედარებით, მცირედით უფრო ხშირად ამბობენ, რომ მისთვის არ ექნება მნიშვნელობა მისი შვილი თუ სხვა რელიგიის ადამიანზე დაქორწინდება, მაშინ როცა აზერბაიჯანელების შემთხვევაში პირიქით, ხანდაზმულები ახალგაზრდებზე უფრო ხშირად ამბობენ, რომ მათთვის არ ექნება მნიშვნელობა.

აზერბაიჯანელი მოსახლეობა კვლავ უფრო კონსერვატიულ შეხედულებებს გამოხატავს, როდესაც საუბარი ოჯახის შენარჩუნებასა და მეუღლესთან დაშორებაზეა. მათი 57%, ხოლო ქართველების მხოლოდ 22% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ურჩევნია შვილმა თავისი ოჯახი შეინარჩუნოს, თუნდაც ბედნიერად არ გრძნობდეს თავს, მაშინ როცა ქართველების უმეტესობა (69%) ფიქრობს, რომ თუ შვილი ბედნიერად არ გრძნობს თავს საკუთარ ოჯახში, სჯობს მეუღლეს დაშორდეს, მაშინ როცა აზერბაიჯანელების მხოლოდ 27% ეთანხმება ამ მოსაზრებას. შესაბამისად აზერბაიჯანელები უფრო ხშირად აყენებენ სოციალურ ნორმებს პიროვნულ თავისუფლებაზე და ბედნიერებაზე წინ. განსხვავებული რელიგიის ადამიანზე ქორწინების მსგავსად, დაშორების შემთხვევაშიც ვხვდებით მცირედ გენდერულ და ასაკობრივ განსხვავებებს. აზერბაიჯანელი ქალები კაცებზე მცირედით უფრო ხშირად ამბობენ, რომ ურჩევნიათ, შვილმა ოჯახი შეინარჩუნოს, ქართველებში კი ეს განსხვავება არ გვხვდება. ასაკის შემთხვევაში კი, როგორც ქართველებში, ასევე აზერბაიჯანელებში, 54 წელზე უფროს ადამიანებთან შედარებით ახალგაზრდები უფრო იშვიათად ემხრობიან მოსაზრებას, რომ შვილმა ოჯახი უნდა შეინარჩუნოს, თუნდაც ბედნიერი არ იყოს.

იმავე კონსერვატიული და ნატივისტური ღირებულებების გაზიარებაზე მიუთითებს მოსახლეობის დამოკიდებულებები არსებული ნაკლების აღიარებასა და გამოსწორებასთან დაკავშირებით. მართალია, როგორც ქართველების, ასევე აზერბაიჯანელების უმეტესი ნაწილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ შვილებს უნდა ვასწავლოთ, რომ *ჩვენს ხალხს ბევრი ნაკლი აქვს, რომელიც უნდა გამოვასწოროთ*, მაგრამ აზერბაიჯანელები უფრო ხშირად ამბობენ, რომ შვილებს უნდა ვასწავლოთ, რომ *ჩვენს ხალხს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მაინც ყველას ვჯობივართ*, ვიდრე ქართველები (იხ. დიაგრამა 1). საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ აზერბაიჯანელებში, ქალები, უფრო ხშირად (43%) ამბობენ, რომ შვილებს უნდა

ვასწავლოთ, რომ *მაინც ყველას ვჯობივართ*, ვიდრე კაცები (21%). ასევე, მხოლოდ აზერბაიჯანელებთან ვხვდებით მნიშვნელოვან განსხვავებას ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს შორის. 18-34 წლის აზერბაიჯანელი მოსახლეობა 54 წელზე უფროს ადამიანებზე უფრო ხშირად ამბობს, რომ შვილებს უნდა ვასწავლოთ, რომ *ნაკლის გამოსწორება აუცილებელია*.

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილ საკითხებთან დაკავშირებით ქვემო ქართლის ქართველი მოსახლეობის აზრი ემთხვევა საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობითი სხვა გამოკითხვის შედეგებს,[8] რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ის ღირებულებების თვალსაზრისით დანარჩენ საქართველოს ჰგავს და უფრო ნაკლებად კონსერვატიულია, ვიდრე ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობა. განსაკუთრებით საინტერესოა ტენდენცია, რომ აზერბაიჯანელ ქალებთან უფრო ხშირად ვხვდებით კონსერვატიულ შეხედულებებს ვიდრე კაცებთან. ამას მრავალი ახსნა შეიძლება ჰქონდეს, რომელიც რელიგიას, ოჯახში ქალის როლთან დაკავშირებულ კულტურულ ნორმებს ან თუნდაც ინტერვიუს დროს სოციალურად სასურველი პასუხების გაცემასთან დაკავშირებით აზერბაიჯანელი ქალების და კაცების განსხვავებულ მგრძნობელობას უკავშირდება.[9] შესაბამისად, რთულია გადაჭრით თქმა, აზერბაიჯანელი ქალები მართლა უფრო კონსერვატიულები არიან თუ არსებული კულტურული ნორმები მათგან ასეთ კონსერვატიულობას მოითხოვს.

<u>დიაგრამა 1</u>

[8] https://caucasusbarometer.org/en/nj2018ge/INHEQUAL/

[9] ამის ერთ-ერთი ახსნა შეიძლება უკავშირდებოდეს იმ გარემოებას, რომ ქალები უფრო ინტენსიურად უყურებენ თურქულ სერიალებს, მათ შორის ისტორიულ სერიალებს, რომლებიც თურქების საბრძოლო სულისკვეთების პროპაგანდას ახდენს. საერთოდ, თურქული სერიალები, როგორც ფოკუს-ჯგუფების სესიებმა ცხადჰყო, ძალიან დიდ როლს თამაშობს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაში, განსაკუთრებით ქალებში. თუმცა ეს მხოლოდ კვლევის ავტორების სუბიექტური მოსაზრებებია და ცალკე ფოკუსირებულ კვლევას საჭიროებს.

გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (%)



კონსერვატიულობის ინდექსი

ვინაიდან აღწერილი კითხვები მოსახლეობის ღირებულებებს გამოხატავს და იჭერს განსხვავებებს სხვადასხვა ჯგუფებს შორის, შესაძლებელია კონსერვატიული ღირებულებების ინდექსის გამოთვლა. ამისთვის გამოვიყენეთ უკვე აღწერილი 5 კითხვა, რომლებშიც რესპონდენტები არჩევანს აკეთებდნენ ორ მოსაზრებას შორის. ამ ორი მოსაზრებიდან ერთი ყოველთვის კონსერვატიული ღირებულებების მატარებელი იყო, ხოლო მეორე ლიბერალურის. ინდექსის დათვლისას, ვინც კონსერვატიული ღირებულების შესაბამისი პასუხი გასცა, დაეწერა 1 ქულა, ხოლო ნებისმიერი სხვა პასუხის შემთხვევაში - 0 ქულა (იხ. ცხრილი 1). შემდეგ ეტაპზე ამ 5 კითხვაზე პასუხები ერთ მაჩვენებელში დაჯამდა, რომლის მნიშვნელობა 0-დან 5-მდე იცვლება, სადაც 0 ლიბერალური შეხედულებების პოლუსს წარმოადგენს, 5 კი კონსერვატიულის (ანუ, 5-ივე კითხვაზე კონსერვატიული განწყობის შესაბამისი პასუხი გასცა).

<u>ცხრილი 1</u>

კითხვა	პასუხები	ქულა
გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან	სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას / ნაწილობრივ	1

რომელს ეთანხმებით?	ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	
მოსაზრება 1: შვილებს უნდა ვასწავლოთ, რომ ჩვენს ხალხს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მაინც ყველას ვჯობივართ. **მოსაზრება 2: შვილებს უნდა ვასწავლოთ, რომ ჩვენს ხალხს ბევრი ნაკლი აქვს, რომელიც უნდა გამოვასწოროთ.**	სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / ნაწილობრივ ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / არც ერთს არ ვეთანხმები / არ ვიცი / უარი პასუხზე	0
გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? **მოსაზრება 1: პროფესიის არჩევისას გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მშობელს, რადგან მან უკეთ იცის, თუ რა გამოადგება მის შვილს ცხოვრებაში.** **მოსაზრება 2: პროფესიის არჩევისას გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის შვილს, თუნდაც მშობელი თვლიდეს, რომ ის შეცდომას უშვებს.**	სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას / ნაწილობრივ ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	1
	სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / ნაწილობრივ ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / არც ერთს არ ვეთანხმები / არ ვიცი / უარი პასუხზე	0
გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? **მოსაზრება 1: არ მინდა ჩემი შვილი განსხვავებული რელიგიის ადამიანზე დაქორწინდეს, თუნდაც ის კარგი ადამიანი იყოს.** **მოსაზრება 2: ჩემთვის არ ექნება მნიშვნელობა, თუ ჩემი შვილი განსხვავებული რელიგიის ადამიანზე დაქორწინდება, თუ ის კარგი ადამიანი იქნება.**	სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას / ნაწილობრივ ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	1
	სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / ნაწილობრივ ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / არც ერთს არ ვეთანხმები / არ ვიცი / უარი პასუხზე	0
გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? **მოსაზრება 1: შვილებს შორის ქონების განაწილებისას, მისი დიდი ნაწილი ვაჟს უნდა დარჩეს.** **მოსაზრება 2: შვილებს შორის ქონების განაწილებისას, ის თანაბრად უნდა**	სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას / ნაწილობრივ ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	1
	სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / ნაწილობრივ ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / არც ერთს არ ვეთანხმები / არ ვიცი	0

გადანაწილდეს ვაჟსა და გოგონას შორის.	/ უარი პასუხზე	
გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? **მოსაზრება 1: მირჩევნია ჩემმა შვილმა თავისი ოჯახი შეინარჩუნოს, თუნდაც ბედნიერად არ გრძნობდეს თავს.** **მოსაზრება 2: თუ ჩემი შვილი ბედნიერად არ გრძნობს თავს საკუთარ ოჯახში, ჯობია მეუღლეს დაშორდეს.**	სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას / ნაწილობრივ ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	1
	სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / ნაწილობრივ ვეთანხმები მეორე მოსაზრებას / არც ერთს არ ვეთანხმები / არ ვიცი / უარი პასუხზე	0

კონსერვატიული ღირებულებების ინდექსის სიხშირეების გადანაწილებამ ნათლად აჩვენა, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობა უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ქართული (იხ. დიაგრამა 2). რეგრესიულმა ანალიზმა კი აჩვენა, რომ ქვემო ქართლში მოსახლეობის კონსერვატიული ღირებულებები, ეთნიკური კუთვნილების გარდა, დაკავშირებულია სქესთან, ასაკთან, რელიგიასთან და ეკონომიკურ მდგომარეობასთან. კერძოდ, ქალები, ხანდაზმულები და უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ადამიანები უფრო მეტად არიან კონსერვატიულები, ვიდრე კაცები, ახალგაზრდები და შედარებით ხელმოკლე ადამიანები. თუმცა კონსერვატიულობა არ არის დაკავშირებული დასახლების ტიპთან, განათლების დონესთან და ენის ცოდნასთან.

<u>დიაგრამა 2</u>

კონსერვატიული ღირებულებების ინდექსის სიხშირეების განაწილება
(%)



შემდგომმა ანალიზმა ცხადყო, რომ აზერბაიჯანელი და ქართველი მოსახლეობის შემთხვევაში, სხვადასხვა ფაქტორებია მნიშვნელოვანი კონსერვატიული ღირებულებების თვალსაზრისით. კერძოდ, აზერბაიჯანელების შემთხვევაში, ქალები უფრო კონსერვატიულები არიან ვიდრე კაცები, ხნიერები მცირედით უფრო კონსერვატიულები არიან ვიდრე ახალგაზრდები და რაც უფრო კარგი ეკონომიკური მდგომარეობა აქვს ადამიანს, მით უფრო მაღალია კონსერვატიულობის დონე, მაგრამ უმნიშვნელოა დასახლების ტიპი და განათლების დონე, ისვე როგორც ქართული ენის ცოდნა. ქართველების შემთხვევაში კი მხოლოდ რელიგიური მრწამსი და განათლების დონეა მნიშვნელოვანი ფაქტორი. კერძოდ, ქრისტიანები უფრო კონსერვატიულები არიან, ვიდრე ისლამის მიმდევარი ქართველები და განათლების დონის ზრდასთან ერთად კონსერვატიული განწყობები მცირედით იკლებს. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც აზერბაიჯანელების და ქართველების შემთხვევაშიც დაკავშირებულია კონსერვატიულ ღირებულებებთან, ასაკია.

დამოკიდებულება განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მიმართ, ნატივიზმი

სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ოჯახის შექმნაზე ქვემო ქართლის მოსახლეობის მოსაზრებების განხილვა კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ რელიგიურ და ეთნიკურ კუთვნილებას როგორც ქართველებისთვის, ასევე აზერბაიჯანელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. კვლევის ფარგლებში დავსვით კითხვები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ოჯახის შექმნასა და ასევე უცხოელების მიერ საქართველოში უძრავი ქონების შეძენის უფლებასთან დაკავშირებით. მოსახლეობის მიერ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით

გამოთქმული მოსაზრებები დაგვეხმარა განსხვავებული ჯგუფების მიმართ მიმღებლობის და ნატივისტური შეხედულებების გავრცელების განსაზღვრაში.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბავშვის აღზრდასა და მშობელი-შვილის დინამიკასთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში, ასევე განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებთან ქორწინების შესახებ დამოკიდებულებებში ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი და ქართველი მოსახლეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. აზერბაიჯანელი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამბობს, რომ შეეცდება შვილს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს, თუ მას ევროპელთან (61%), რუსთან (61%), ირანელთან (56%) ან ქართველთან (56%) სურს ოჯახის შექმნა. ახალგაზრდები, ხანდაზმულებთან შედარებით უფრო ხშირად გამოთქვამენ ასეთ მოსაზრებებს, თუმცა სურათი იცვლება, როდესაც საუბარი თურქთან ერთად ოჯახის შექმნაზეა. ასეთ შემთხვევაში, აზერბაიჯანელების მხოლოდ 38% ამბობს, რომ შეეცდება შვილს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს, ხოლო 57% ამბობს, რომ ამას არ გააკეთებს (იხ. დიაგრამა 3).

<u>დიაგრამა 3</u>

დავუშვათ, გყავთ შვილი, რომელსაც სურს, ოჯახი შექმნას ევროპელთან/რუსთან/თურქთან/ირანელთან/ქართველთან/აზერბაიჯანელთან ერთად. შეეცდებით თუ არა, შეაცვლევინოთ ეს გადაწყვეტილება? ***შევეცდები შევაცვლევინო ეს გადაწყვეტილება*** (%)



აზერბაიჯანელების პასუხები ამ კითხვებზე მიგვანიშნებს, რომ რელიგია მათთვის მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო სერიოზული გავლენა აქვს ეთნიკურ ფაქტორს. კერძოდ, მათთვის ერთნაირად მიუღებელია შვილის დაოჯახება ერთმორწმუნე ირანელთან და ქრისტიან ქართველთან (56% ორივე შემთხვევაში), თუმცა უფრო ლოიალურად უყურებენ თურქებს. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანელები, რომლებმაც

თურქული ენა იციან, ორჯერ უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ ეცდებოდნენ გადაწყვეტილების შეცვლას თუ შვილი ოჯახის შექმნას თურქთან გადაწყვეტდა, ვიდრე ისინი, ვინც თურქული ენა არ იცის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ თურქთან ერთად ოჯახის შექმნის შემთხვევაში აზერბაიჯანელი ქალების და კაცების მოსაზრებები განსხვავდება და ქალები უფრო იშვიათად (31%) ამბობენ, რომ შეეცდებიან გადაწყვეტილება შეაცვლევინონ, ვიდრე კაცები (47%). ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აზერბაიჯანელი ქალებისთვის ენასთან და რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობას.

რაც შეეხება ქართველებს, აქ რელიგია, როგორც ჩანს გადამწყვეტი ფაქტორია, რადგან გამოკითხულთაგან ყველაზე ლოიალურად რუსებს უყურებენ, რომელთაც მცირედით ჩამორჩებიან ევროპელები. აზერბაიჯანელი კი მათთვის თითქმის ისევე მიუღებელია, როგორც თურქი და ირანელი.

ქართველების შემთხვევაში, რუსული ენის ცოდნის დონე რუსთან ერთად ოჯახის შექმნასთან კავშირში არ არის.

მცირედით განსხვავებულ სურათს ვხედავთ, როდესაც ქართველების და აზერბაიჯანელების პასუხებს ვადარებთ უცხოელების მიერ საქართველოში უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებულ კითხვებზე. ქართველების უმრავლესობა, დაახლოებით 90% ამბობს, რომ თურქებს, რუსებს, ირანელებს და ევროპელებს, რომლებსაც საქართველოში ცხოვრება სურთ, აქ უძრავი ქონების შეძენის უფლება არ უნდა ჰქონდეთ. საქართველოს მოსახლეობის ეს მტკიცე პოზიცია სხვა გამოკითხვებშიც კარგად ჩანს[10], თუმცა ამ შემთხვევაში ვხედავთ, რომ არც ეთნიკურობას და არც რელიგიას მნიშვნელობა არ აქვს ქართველებისთვის, როდესაც უძრავი ქონების შეძენაზეა საუბარი. მათთვის ერთნაირად მიუღებელია, მიწას შეიძენს ევროპელი, რუსი, თურქი თუ ირანელი.

თითქმის ასეთივე ერთგვაროვანია დამოკიდებულება აზერბაიჯანელებშიც, ოღონდ მათი ხვედრითი წილი, ვინც მიწის გასხვისებას ეწინააღმდეგებია დაახლოებით 40%-ის ფარგლებშია, ანუ ქართველებზე 2-ჯერ და კიდევ უფრო მეტად ნაკლები. გარდა ამისა, ისევე, როგორც სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებით, მხოლოდ აზერბაიჯანელებში ვხვდებით გენდერულ განსხვავებას. კერძოდ, ქალები თითქმის 2-ჯერ უფრო ხშირად ამბობენ, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს საქართველოში უძრავი ქონების შეძენის უფლება უნდა ჰქონდეთ. როგორც

[10] https://caucasusbarometer.org/ge/eu_ge/LANDOWN/, https://caucasusbarometer.org/ge/rs2018ge/RGTOWNL/

გამოკითხვამ აჩვენა, შვილის სხვა ეთნოსის წარმომადგენელზე დაოჯახებასთან დაკავშირებით ორივე თემისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია ეთნიკურობა და რელიგია, თუმცა განსხვავებული ხარისხით. აზერბაიჯანელებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური ფაქტორია, ქართველებისთვის კი რელიგიური. კიდევ უფრო შესამჩნევია ორ თემს შორის განსხვავება, როცა საუბარია მიწის უცხოელისთვის მიყიდვაზე. ქართველებისთვის კატეგორიულად მიუღებელია მიწია გაყიდვა, მიუხედავად იმისა, რა ეთნოსის თუ რელიგიის წარმომადგენელია პოტენციური მყოდველი. რადიკალურად განსხვავებული სურათია აზერბაიჯანელებში, რომლებიც მიწის გაყიდვის საკითხს გაცილებით უფრო ლოიალურად უყურებენ.

უფლებების დაცულობის & საფრთხეების აღქმა

მცირედით განსხვავებულ სურათს ვხედავთ, როდესაც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვაზე ვსაუბრობთ. გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტები აფასებდნენ თუ რამდენად არის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლების უფლებები დაცული საქართველოში. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ქართველებისა და აზერბაიჯანელების უმეტესობა (70-80%) მიუთითებს, რომ ქალების, კაცების, ბავშვების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები საქართველოში ნაწილობრივ ან სრულად დაცულია. ერთადერთი ჯგუფი, რომელთა უფლებები მოსახლეობის აზრით ნაკლებად არის დაცული, სექსუალური უმცირესობებია. ქართველების 42% და აზერბაიჯანელების მხოლოდ 21% ამბობს, რომ მათი უფლებები ნაწილობრივ ან სრულად დაცულია. ამასთან, აზერბაიჯანელი რესპონდენტების ნახევარზე მეტი, მიუთითებს, რომ არ იცის, ქვეყანაში სექსუალური უმცირესობების უფლებები დაცულია თუ არა.

უფლებებთან დაკავშირებით ორი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. ერთი მხრივ, სექსუალური უმცირესობების გარდა ყველა სხვა ჯგუფზე ქართველების უმრავლესობა ამბობს, რომ მათი უფლებები ნაწილობრივ დაცულია და შედარებით პატარა ნაწილი, რომ სრულიადაა დაცული, აზერბაიჯანელებთან კი პირიქით, უმეტესობა ამბობს, რომ უფლებები სრულად დაცულია და შედარებით მცირე ნაწილი ამბობს, რომ ნაწილობრივაა დაცული. მეორე მხრივ, აზერბაიჯანელებს შორის 10-15%-ით მცირეა იმ ადამიანთა წილი, ვინც ამბობს, რომ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები დაცულია (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. **რამდენად დაცულია ან არ არის დაცული საქართველოში შემდეგი ჯგუფების უფლებები? (%)**

		სრულიად დაცულია	ნაწილობრივ დაცულია	ნაწილობრივ არ არის დაცული	საერთოდ არ არის დაცული	არ ვიცი	უარი პასუხზე
ქალების	აზერ.	51	33	3	4	8	1
	ქართ.	13	63	16	7	1	
ბავშვების	აზერ.	56	30	4	3	6	0
	ქართ.	18	60	14	6	2	
კაცების	აზერ.	52	31	3	6	8	1
	ქართ.	20	58	14	6	2	
მოხუცების	აზერ.	60	26	4	4	6	0
	ქართ.	8	65	16	7	4	
შშმ პირების	აზერ.	55	25	5	5	10	0
	ქართ.	9	64	16	7	4	
რელიგიური უმცირესობების	აზერ.	38	32	8	8	12	1
	ქართ.	18	56	9	5	11	
ეთნიკური უმცირესობების	აზერ.	42	32	8	6	10	2
	ქართ.	22	57	6	5	11	
სექსუალური უმცირესობების	აზერ.	11	9	8	6	56	9
	ქართ.	10	32	19	19	20	1

ქვემო ქართლის ქართველი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის უმეტესობა ამბობს, რომ ამჟამად საქართველოში ისლამს და მართლმადიდებლობას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა მართლმადიდებლობის შემთხვევაში, ქართველები უფრო ხშირად მიუთითებენ ამ საფრთხეზე, აზერბაიჯანელების მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი არ იცის მართლმადიდებლობას საფრთხე ემუქრება თუ არა, თუმცა მტკიცედ სწამთ, რომ ისლამი საფრთხის ქვეშ არ არის (იხ. დიაგრამა 4).

ამავე დროს, გამოკითხული აუდიტორიის დაახლოებით მესამედი (30%) ფიქრობს, რომ უმცირესობების უფლებები საბჭოთა კავშირის პერიოდში უფრო დაცული იყო, ხოლო მეორე მესამედის აზრით (33%) ეთნიკური უმცირესობების უფლებები ახლა უფრო დაცულია. ამასთან, 23%-მა არ იცის, როდის უფრო დაცული იყო მათი უფლებები, ახლა თუ საბჭოეში. საინტერესოა, რომ როგორც ქართველების, ასევე აზერბაიჯანელების შემთხვევაში, ახალგაზრდებთან შედარებით 54 წელზე უფროსი ადამიანები უფრო ხშირად ამბობენ, რომ სსრკ-ში ეთნიკური უმცირესობების უფლებები დროს უფრო დაცული იყო.

<u>დიაგრამა 4</u>

თქვენი აზრით, ემუქრება თუ არა ამჟამად საფრთხე მართლმადიდებლობას/ისლამს საქართველოში? (%)



სხვა კითხვებზე პასუხები ცხადჰყოფს, რომ ქართველებს და აზერბაიჯანელებს განსხვავებულად ესმით რელიგიური უმცირესობების უფლებები (თუმცა ამის მიუხედავად, თანხმდებიან, რომ უფლებები უფრო დაცულია, ვიდრე არაა დაცული). კერძოდ, გამოკითხული აზერბაიჯანელების 92% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოში მუსლიმებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, იქონიონ მეჩეთები და მონაწილეობდნენ რელიგიურ რიტუალებში, მაშინ, როცა ქართველების მხოლოდ 62% იზიარებს იგივე მოსაზრებას, 29% კი ფიქრობს, რომ მეჩეთების აშენება და მუსლიმური რელიგიური რიტუალების შესრულება ხელს უშლის ქართველებს შორის თანხმობას და გაერთიანებას. ეს ცალსახად მიანიშნებს, რომ ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რელიგიური უმცირესობების გარკვეული უფლებების განხორციელებაში საფრთხეს ხედავს. ეს დამოკიდებულება ფოკუს-ჯგუფებში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა. ქართველების შიშები, ერთი მხრივ, აზერბიჯანელების დემოგრაფიას უკავშირდება, მეორე მხრივ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღქმას, თითქოს მათი ეკონომიკური მდგომარეობა ქართველებზე უკეთესია და ეს ნაპრალი ღრმავდება.

დასკვნა

ქვემო ქართლის წარმომადგენლობითმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობა უფრო ხშირად ავლენს კონსერვატიულ შეხედულებებს ბავშვის აღზრდასა და შვილებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. აზერბაიჯანელი მოსახლეობის შეხედულებები უფრო ხშირად არის ორიენტირებული ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვასა და ტრადიციული სოციალური ნორმების დაცვისკენ. აზერბაიჯანელი ქალები, ხნიერი და კარგი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ადამიანები უფრო კონსერვატიულები არიან, ვიდრე კაცები, ახალგაზრდები და ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის მქონენი. ქართველების შემთხვევაში კი საშუალო ან საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ადამიანები უფრო კონსერვატიულები არიან, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონენი.

ერთადერთი საკითხი, რომელშიც ქართველები უფრო კონსერვატიულ შეხედულებას ავლენენ უცხოელის მიერ საქართველოში უძრავი ქონების შეძენის უფლებაა. თუმცა აზერბაიჯანელებში ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი ღიაობა საქართველოსთან იდენტიფიკაციის ნაკლებობაზე უფრო მიგვანიშნებს, ვიდრე ლიბერალური ღირებულებების გაზიარებაზე.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კონსერვატიულობის ხარისხი აზერბაიჯანელ ქალებში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში. სხვადასხვა ინდიკატორები ამ განსსხვავების სხვადასხვა ხარისხზე მიანიშნებს - ზოგან ის შედარებით მცირეა, ზოგან კი, შეიძლება ითქვას, რადიკალური - თუმცა ყოველთვის კონსისტენტურია და სტატისტიკურად სანდო. მაგალითად, მოსაზრებას *„შვილებს უნდა ვასწავლოთ, რომ ჩვენს ხალხს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მაინც ყველას ვჯობივართ“* პროცენტულად ოჯერ უფრო მეტი აზერბაიჯანელი ქალი ეთანხმება (42%), ვიდრე კაცი (21%). ეს გარემოება, ერთი მხრივ, საკითხის მიზნობრივად, ფოკუსირებულად შესწავლის აუცილებლობას წარმოშობს, მეორე მხრივ კი მკაფიო სამოქმედო სიგნალია სამოქალაქო სექტორის, შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისთვის.